რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ... ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა:

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ.; ... ასოზე ნახევარი კაპ., ... 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დირს ერთი შაური.

ტფილისის პირველი გიმნაზიის მთავრობა სთხოვს მშობელთა და ნათესავთა მიაქციონ ყურადღება იმაზედ, რომ მასწავლებლების დაურიგდათ ტაბელები სწავლაზე და ყოფა-ქცევაზე ერთი-მეოთხედ ნაწილის სწავლის წლისა. მოსწავლეთა, რომელნიც არ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას რამდენსამე საგნებში და შემჩნეულნი არიან ცუდ ყოფა-ქცევაში, არ მიეცათ ეს ტაბელი ხელად. ესენი დაურიგდება კვირას 7-ს ნოემბერს 1—2 საათამდის, მშობლებს ან ნათესავებს, რომელნიც ინებებენ თვით მოელაპარაკონ მასწავლებლებს თავიანთ შვილებზედ გიმნაზიაში.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-მორის ტელეგრაფიულ სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 6 ნოემბერს. 1 ნოემბერს გამოიცა ცირკულიარი ფინანსთა მინისტრისა იმ დებულების და წესების უსტავში შეტანა, რომელიც თამბაქოს ვაჭრობის შესახებ დროებით იყო მოქმედებაში...

მოსკოვი, 6 ნოემბერს. გუშინ სამსჯავრო პალატაში დაიწყეს გარჩევა [illegible] ლიტვინოვისა; საქმისა ... ის ვექილი არის კურილოვი, ...რისა მილერი; საქმე გაგრძელდება 4 დღემდე.

უმაღლესის გადაწყვეტილებით, 2200 გირვ. სტერ. დაუნიშნა მიკლუხო-მაკლაის შრომის შესაკრებად. გამოცემა — შრომისა ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო თავის ხარჯზედ.

### პეტერბურღის ბირჟა, 6 ნოემბერს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94— | 50 |
| მეორისი — — — — | 90— | 75 |
| მესამესი — — — — | 90— | 50½ |
| მეოთხესი — — — | 90— | 25½ |
| მეხუთესი — — — | 91— | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 88— | 37½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 88— | 37½ |
| აღმოსავლეთის მესამე | 88— | 37½ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8— | 27½ |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — | — 211 — | „ |
| მეორე სესხის — | — 203 — | „ |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 23—90 | პენსი |
| ჰამბურღი — | 203—12 | ცენტი |
| პარიჟი — | — 251 — „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## დღიური

რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ კავკასიაში ტრანზიტის მოსპობის თაობაზედ სჯაში მონაწილეობას მიიღებს მთავარ-მმართებელი კავკასიისა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურღში იმყოფება, სადაც მოხდება სჯაც ამ საგანზედ.

* *
*

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა, ღენ. სმეკალოვმა, მისდამი რწმუნებულ ოლქში მოგზაურობის დროს, გამოსაკვლევად ათას უწესო მოქმედებათა და მოსასპობელად ქურდობა-ავაზაკობისა, გამოუცხადა თითქმის ყველა საზოგადოებას (ყრილობას), რომ ამ უკანასკნელს თვის შორის აერჩია რამოდენიმე სანდო პირი, რომელთაც უნდა მიეღოთ საჭირო ზომები ბათომისა და ოზურგეთის მაზრაში გავრცელებულ ავაზაკობის მოსასპობელად.

ამ გვარ გონიერ განკარგულებას, პატივცემულ ღენ. სმეკალოვისა, როგორც ეხლა გვწერენ ბათომის ოლქიდან, გონიერი და კეთილი ბოლო ვერ დარჩენია, სამწუხაროდ: ზოგიერთ საზოგადოებაში ამოურჩევიათ თურმე ისეთი პირები „ცუდ-კაცობის“ ამოსაფხვრელად, რომელნიც თვითონაც [illegible] ადგილობრივ მთავრობას მიუგნია ეს შეცდომა ზოგიერთ საზოგადოებისა და ხელ-ახალ ამორჩევაც მომხდარა ამ სანდო პირთა, მაგრამ ზოგ საზოგადოებაში კიდე დარჩენილან ურიგო სანდო პირნი. ამათ რიცხვში არის ს. ჩოჩხათის საზოგადოებაც, რომელმაც სანდო პირად აირჩია ყველასაგან თითქმის ურიგო კაცად ცნობილი იოსებ სარიშვილიო.

*
* *

ოზურგეთიდან დიდს სამდურავს გვწერენ იქაურ ტელეგრაფის სტანციის უფროს ბ. ნ. ა...ნზედ. ისე ხელქვეითს არ მიიღებს, რომ მისგან რამ სარგებლობა არ ნახოს. ვისაც შეძლება აქვს, ნაკლებადაც ესმოდეს საქმე, ადვილად იშოვნის ალაგსა, და ღარიბი უბრალოდ ნუკას მოელის მისგანო...

არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი...

*
* *

რუს-ოსმალეთის ომიანობის შეწყვეტის შემდეგ, რაი რუსეთს დარჩა ყარსისა და ბათომის ოლქნი, რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ მიუცილებელ საჭიროდ დაინახა, რომ კავკასიის აქეთა მხარეში აგებულ იქმნას სიმაგრეები. ეს გადაწყვეტილება დად... 1879 წლის ... [illegible] მად სამხედრო რჩევას დაუდგენია შემდეგი: ა) ალექსანდრეპოლის არტილერია გადაყვანილ იქმნას ყარსში; ბ) შესდგეს წყობა არტილერიის საწყობთა დასაცველად სიმაგრე მიხა-

---

„დროების“ ფელეტონი, 7 ნოემბერ.

## ...ეხი გალო, სოფლის ტაბარუკა*)

(სურათი)

### I

გალო დაბალი კაცი იყო, „კაჭკაჭია“ ... გამხმარი, ზამთარ ზაფხულ განუ...რებელ ფართო ფარაჯაში მოთავსებული, რომელზედაც თეთრი წვრილი ...ი ჰქონდა შემოჭრებული. კანჭები ... წვრილი ჰქონდა, თითქო უწინდელ ...რიკასავე მისთვისაც კუნთები მოუთ...თო ქალამნებს. თუ არ ზამთარში, ... სხვაგან წასვლის დროს, თორემ სოფელში თუ სასოფლოზე ვერ დაინახავ...თ მას. პირისახე გამხდარი, მოკლე ...ზე თითქო ჩამოჭკნულვიაო. თვალე... შედარებით მსხვილი, ჩამოფრასტულ ... ცხვრის ქუდიდგან ჭკვიანურად ...იმზირებოდნენ, მხოლოდ ცრემლით ...-მალ ევსებოდნენ.. ლაპარაკი იშვია... და წყნარი.

...ველა გეუბნებოდათ: — ამაში მტაცებ... ჯილაგისა არა არის რაო...

...მახდა მას ყველა გალოს. ჰქონდა, ... არა, სხვა რამ ნათლობის სახელი, ...რთმა უწყის. ანკი ვინ უკითხავდა ...-მავს სახელს?.. კომლეურ აღწერაში გალოდ ჩაჭთვლიდნენ, თუ ეშმაკად, სოფელს იმისი სახელის მოხსენიებაზედ ხაზინაში 17 მან. და თხუთმეტი შაური უნდა შეეტანა, რასაკვირველია გალოსვე ჯიბიდან, სკოლის ფულიც ორი მანეთი, ბეგარაზედაც უნდა გასულიყო და სხვ. გალოს პირადობასთან კი სახელმწიფოს არა რა საქმე ჰქონდა!! შუაკაცად მიჩემებული ჰყვანდა ჩაფრები, გზირები, მამასახლისი; იმიტომაც მეტი შავ-ნელი წარმოდგენა ჰქონდა გალოს ამ სახელმწიფოს გადასახადზედ, რომლის სანქციით მოქმედობდნენ მასთან ზემოდ ნახსენები შუაკაცნი... დალაქს, სოფლის მწერალს, სოფლის ყარაულებს და სხვა წურბელაებს, თუმც პირადი შეხება ჰქონდათ გალოსთან, მაგრამ არამთუ სწორე სახელის დამახსებას ცდილობდნენ, არამედ ამ მეტ სახელსაც უსახიჩრებდნენ და გალოს მაგიერ, გალა-გალას დანცალს ეძახდნენ.

გალა-გალა, წამო სახუცოში მიშველე, ეტყოდა ღვდელი და ისიც უხუმარის პირით გაჰყვებოდა.

— დანცალ, ჩემი სამწერლო ორი აბაზი მოთხარე! — ეტყოდა მწერალი, ისიც ჯერ გაიღიმებდა, მაგრამ რაკი მწერალი მრისხანედ უბმანებდა, მოსთხრიდა საიდგანღაც, მისცემდა მუნჯად და ოსვრით მიიღებდა მხოლოდ კვიტანციას — ეს უკანასკნელი ადათი რაღაც მანქანებით ჩანერგულიყო ამ სოფელში... ასევე იშორებდა ის ყარაულებს, დალაქს და სხვ.

მთელი მისი სიცოცხლე ამ გადასახადში მიდიოდა; ნუღა ვიტყვით ბეგარას, რისთვისაც გალოს საკუთარი ნიჩაბი და ბარი კარებს უკან ეყუდა და ჯერ ისევ შორს გაისმოდა ხოლმე გზირების ბეგარაზე ძახილი, მათი ლანძღვა და მაღლების ყეფა, როცა გალოს ფარაჯის კალთაში გამოხვეულ პურებით ბარი და ნიჩაბი მხარზე ეწყო და ხვნეშით, კუკუნით ემზადებოდა წასასვლელად: სუსხი ჰქონდა საწყალს გზირების რბევისა და მათ მიერ ქათმის მოკვლისა.

წელს მოსავლიანი წელიწადი გახლდათ გალოს სოფელში. პური და ღვინო ყველას ბევრი მოუვიდათ, მაგრამ ვის რა დარჩება — ეს ანგარიშის საქმეა — მე და შენ მკითხველო, როგორც ქართველებს, ანგარიში გვეჯავრება, იმიტომ არ ჩავაგდებთ ამაზე ლობიოს, თუმც ბევრს, ძრიელ ბევრს რამეს შევიტყობდით აქედან!... გალოს კი ვუყოთ ანგარიში! ან რა მნელია ტაბარუკა კაცის ავლა-დიდების ჩამოთვლა, მის ვარმის ზომას ნუ გამოუდგებით, თორემ... პირად, ანუ უანგარიშოდ გალოც და სხვაც გეტყოდათ, რომ „ღვთით წელს გალო მაან იოლს წავაო“; მაგრამ რა არის ეს „იოლი“ ვნახოთ...

რადგან გალოს ერთი კუდა ვირის მეტი არა ჰყვანდა-რა, იმიტომ ღამის მეხრეობით იხნა სათემო მიწაში ორი დღისა. ოც-და-ხუთი კოდი პური მოუვიდა!

ვენახიც საკუთარი არა ჰქონდა, მაგრამ სხვისი გააკეთა და პატრონთან ერთად კურთღლის წვენივით ნუნუით ერთი საპანიანი ქვევრი გაავსეს....

ჯალაბობა გალოსი სამი სულია: თითონ, ცოლი და ცხრა წლის ბიჭი; მაშ ბევრი ვაების შემდეგ ამ შემოდგომაზე მაინც იქნიოდა, ჩემო გალო, ვირსაც კი ნუგუა ასვით!... მაგრამ ანგარიში დაგვავიწყდა...

გალოს სოფელში თორმეტი ამორჩეული ანაწილებს კომლზე სახელმწიფო ფულს. ამათ ამორჩევაზე არც გალო და არც სხვა მისი ჯურა ხალხი სოფლის ყაყანს არ დასწრებიან; ეხლა კი სოფლის „კანწელარიის“ შიგნიდან ჩაკეტილ კარებს ბუზებივით ასევიან და ცდილობენ თავიანთ ბედ-იღბალის განაჩენს ყური მოჰკრან. კანცელარიიდან კი მოისმის სოფლის სავაის ყროყინი:

— მეე, შვილო, შავიწერ ცხრა თუმანს, მაგრამ შენც გვერდში მოგიყენებ!.. არ შაგიძლიან? აი დარდი! შაიძელ-რა!

— შავიძლოო? უყვიროდა მოპასუხე, ი გირავნობა რო გიწყვია ორმოცი საპანისა, გამიყავ და შავიძლებ! ორი გუთ-

*) უმამული კაცი.

ილოვსკში ბათომთან და ფოთში; გ) ახალციხის არტილერიის როტისაგან და ალექსანდროპოლის არტილერიის ბატალიონისგან შესდგეს სამი არტილერიის ბატალიონი.

* * *

ბაქოს ქალაქის რჩევას გაუკეთებინებია დიდი ბლიუდო და სამარილე ვერცხლისა 4,000 მანეთად ღირებული, რომლითაც პურ-მარილი უნდა მიართვას რუსეთის იმპერატორს გვირგვინის კურთხევის დროს.

* * *

რაც ხანი გადის უფრო ხშირად და ხშირად სჩნდება ხოლმე ცეცხლი რუსეთის თუ ჩვენი მხრის სხვა-და-სხვა კუთხეებში და აქედან, რასაკვირველია, იმატებს რიცხვიც ქონების საზღვევლად შემტან პირთა. დასამტკიცებლად ამისა შეიძლება მოვიყვანოთ მმართებლობის შემოსავალი დაზღვეულ ქონებათაგან: 1878 წ. მმართებლობის შემოსავალი ამ საგნიდგან იყო 135,450 მან.; მას უკან მუდამ წლობით იმატებდა ხოლმე ეს შემოსავალი და გასულ წელს მმართებლობამ ნახა შემოსავალი—2,889,657 მან.

* * *

გაზ. „შრომაში“ დაბეჭდილია ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი, რომ ქუთაისის ქალაქის თავს ბატ. ასათიანს მოსვლია პეტერბურღიდგან ნამდვილი ცნობა, რომ ტყიბულის რკინის გზის ქუთაისზედ გამოყვანა დაუმტკიცებია უმაღლეს მთავრობას.

* * *

ამავე გაზეთში ვკითხულობთ.

„ამ ბოლოს დროს გახშირებულს გადასახლებას რაჭიდგან მცოდნე კაცები სხვათა შორის იმითი განმარტებენ, რომ რაჭაში მიწა ერთობ დაღალაო ომიანობის შემდეგ. ჭირი სრულიად გაწყოთ შინაური საქონელი, ყოველ წლივ ხელ-ახლა ჩნდება ეს ჭირი და რადგანაც რაჭაში სახნავი მიწები მიუნაკილებლად ერთობ ცოტა მოსავალს იძლევაო, აქე რომ ეს ოთხი ხუთი წელიწადია ძლიერ ცუდი მოსავალი იყოო, ამისთვის ილაჯ-გაწყვეტილი ხალხი, და ამათგან მეტადრე იმისთანაები, რომელთაც არავითარი ხელობა არ იციან, გადადიან ჩრდილოეთს კავკასიაში, თუ დროებით საცხოვრებლად, თუ სამუდამოდ დასასახლებლად. ისინი, ვინც წინა წლებში არ თანხმდებოდნენ მთავრობისაგან გამოცხადებულს წინადადებაზედ, რომ გადასახლებულიყვნენ, ეხლა თვითონ თხოულობენ თურმე მთავრობისაგან ნებასა და შემწეობას ამ გადასახლებისათვის“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

გორი, 2 ნოემბერს. შარშან დაარსდა გორში, ბ. ჯავახოვის და მასწავლებლების თაოსნობით და მეცადინეობით, საზოგადოება ქალაქის სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებელად. წელს, 31-ს ოკტომბერს, გავლილ კვირას, იყო წლიური სხდომა ხსენებულ საზოგადოების წევრთა ორიის სასოგადოებიო კლუბში.

როგორც საზოგადოდ ყოველთვის, ისრე ეხლაც, საზოგადოებამ გულგრილობა აღმოაჩინა. ქალთების გლეჯით და წევით, მრცხვენის, რომ ვამბობ: ძლივს შევაგროვეთ რამდენიმე წევრი.

კრების გახსნის წინ, საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა ბ. ა. ჯავახოვმა სთქვა მოკლე, მაგრამ აზრით და გრძნობით სავსე სიტყვა, რომელშიაც უჩვენა კრებას, რომ ღარიბ მოსწავლეთ უნდა მატერიალური შემწეობა მივცეთო; უამისობა ბევრს უსპობს სწავლის ღონის-ძიებასაო. სწავლის კარგ გზაზე დაყენების გარდა საჭიროაო, რომ ბავშვი შესაფერ გარემოებაში იდგესო, ცხოვრების სახსრები ჰქონდესო, რომ სწავლას უკან არ ჩამოარჩესო; ამიტომ ვითხოვთ საზოგადოების დახმარებას და შეწევნასო.

შემდეგ საზოგადოების ხაზინადარმა, მასწავლებელმა ი. ძოწენიძემ წაიკითხა წლიური ანგარიში საზოგადოებისა, რომლიდანაც აღმოჩნდა: საზოგადოებას ჰყოლია 62 წევრი, ამათგან შემოსულა სულ 164 მანეთი; საზოგადოებისაგან გამართულის მასკარადული საღამოსაგან შემოსულა 233 მან. 85 კაპ., მაშასადამე შარშან, 1881 წ., 1882 წლის ოკტომბრის გასულამდე, სულ ჰქონია ფულად, ღარიბთა შესაწევნელად, 397 მ. 85 კ.

ამ ჯამიდამ აი რა დაუხარჯავთ: ა) 1881-ის მეორე ნახევრის სასწავლო ფული (გარდასახადი) მიუციათ ორი მოსწავლისთვის ორი მან. და ათი შაური თითოსთვის, სულ 5 მან.; ბ) 1882 წლის პირველი და მეორე ნახევრის სასწავლო გარდასახადი მიუციათ ოც-და-ხუთი მოსწავლისათვის, ოთხ-ოთხი მანეთი თითო ნახევარში—სულ ორასი მან.; გ) 17 მოსწავლისთვის შეუკერნიათ ტანთსაცმელი—სულ 74 მან. და 95 კ.; დ) შვიდი მოსწავლის ფეხთ-საცმელში 10 მ. და 20 კ.; ე) ხუთი ავადმყოფი ყმაწვილისთვის წამალში გასულა 3 მ. 38 კ.; ვ) საზოგადოების ბეჭედში მიუციათ 5 მ.; ზ) საკვიტანციო წიგნში მიუციათ 3 მ. 10 კ. და თ) კანცელარიის ხარჯი—4 მ.—სულ დახარჯულა 305 მან. 63 კაპ.

ყველა მოხსენებულ ხარჯებს გარდა, რომელიც კამიტეტის განკარგულებით დახარჯულა, საზოგადოების კასსაში არის ნაღდი ფული 92 მან. 22 კაპ.

კრებამ ამოირჩია სარევიზიო კამისია სამი პირისაგან, რომელმაც მაშინვე შეამოწმა და ყველაფერი რიგზე სცნო, რისთვისაც ხაზინადარს და კამიტეტს მადლობა განუცხადეს.

შემდეგ შეუდგნენ კამიტეტის არჩევანს. აირჩიეს შემდეგი პირებისაგან: ჯავახოვი ორი თავისი მასწავლებლით (ძოწენიძე და ზვარამაძე), ქალაქის თავი, ს. მგალობლიშვილი, კ. შავფი და მ. კერესელიძე, რომელმაც იკისრა საზოგადოების მდივნობაც. ხაზინადრად ისევ ძოწენიძე დარჩა. თუმცა დიდი უარი კი გამოაცხადა; რადგან კრებაზე ცოტა უილაგო ლაპარაკი დაუწყო ერთმა წევრმა.

კრებაზე წაიკითხეს ბ. ა. თუთაშ-

---

ნეული რო გუავ, ერთი მე მამე, ხვნით გავძღე და, ბატონი ხარ, ხარჯშიმც შენთან ამომიყავ თავი!...

ეს ლანძღვა და ღრიალი გაუგებარი იყო გალოსთვის, რადგან ამას თავის გარამი აღრჩოდა. ის თავის სახელის ამოძახებას ელოდა. სასრეზე გულ-ხელ დაკრეფით დაბჯენილი და თავის გულის ბაგა-ბუგ მომსმენი დიდხანს იდგა. ბევრი იმის ჯურა კაცი, გამგონე თავის განაჩენისა ფეხ-აკრეფით და ლანძღვა-კრულვით შორდებოდა წუეულ კარებს... აი მოისმა მწერლის მიერ ამოძახილი „გალოც“.

— შე ზიდავს თავის საკომლოს, შაჭყვირეს გამწერთ ლანძღვისაგან გამოღეულ ხმით.—ეყო მაგდენი სხვაზე აკიდება, დინჯად დაუმატა ვიღამაც.

— ნუ აიკიდებ რომ კუდა ვირს და იმას სახელმწიფო გზაზე დღიურ ქვის მტვრევით სული ამოხდათ წლევანდლამდის, რომ ცოლ-შვილში ლუკმა მჭადი შეეტანა!—უპასუხა ამაზე დაცინვით მწერალმა.

— წელსა?! წელს ხომ მოუვიდა, შვილო?! შეჭყვირეს ცაავებმა ჩხუბის ხმით, მაშ ყველას წინა კაცები გზიდავთ რადა?!

მწერალმა ხმა გაკმინდა. თავ-ბრუ დასხვეული დაბრუნდა გალო..

## II

ღვინობისთვეს. დაჭკისრდა გალოს 11 მან. და 75 კ. საკომლო, 2 მან. სკოლისა წელს ყველა კომლს ოთხი წლის მომატებული თითო მანეთიდანაც 4 მ., სოფლის ხარჯი ჩაფრებზე და 1 მ. 40 კ. სულ 19 მან. 15 კ.!

ამ თვეში დღე არ გავიდოდა, რომ „ბოჩიკს“, გალოსთვის არ ეთქო ფული იშოვნეო. ამ საწყალსაც არც დღე სძინავს და არც ღამე. ელის სირაჯს, რომ ღვინო მიჭყიდოს. აი მონახევრე მოჭრიგების საპანეს ხუთ თუმნად და გალოს ატყუობინებს—სირაჯს რუმბებიც კი მიუთრევია მარნის კარებზე. გალოც მიაშურებს ფესებს და რადგან მის დღეში ღვინო არ გაუყიდნია, ჰგონია, რომ მისი წილი 25 მან. ამოიღებს და სახელმწიფო გვერდზე გდიაო.

სირაჯი იწყავს ხუთ ხელადას ტიკში და ამბობს:

— ეს ჭაშნიკიო!

იწყავს ამწყავი სამ თუნგს და იძახის:

— ეს საწყავოო!

ადგამენ უშველებელ მაზრს რუმბსა, ასხამენ საწყაოს და იძახიან:

— ეს ღმერთმა გაშლები აცოცხლოსო! მეორეზე ამღები ადღეგრძელოს, მესამეთ—სამება შეგეწიოთო და მერე კი მოჭყვნენ ერთი-ორს...

გალომ ამაზე რაღაც ამოროსა, მაგრამ სირაჯმაც და სხვებმაც ჩააწყვეტინეს ხმა:

— თუ შენ ხამი ხარ, სხვას მაინც ჰკითხეს.

ერთი ჩაფიც ზედ დაუსხა. რავი საწყაო წაიქცა, სირაჯმაც ადათისამებრ აღარ ამოწყო და ამოობაში გალოს ერგო 19 მან. თავის ნახევარში!.. ეს იყო წვისა და დაგვის ფასი და მაინც ხარჯს არ უხვდებოდა. აქ გაჭყიდა ერთი კოდი პურიც 2 მ. 50 კ. და დაჭრჩა 24 კოდ პურის ამარა, რომელიც უნდა ჭყოფნოდათ სამ სულს. ეს უნდა გაუძლვეს ტანისამოსს, ჩემო მკითხველო, მღვდელს, დალაქს, მწერალს, ყარაულს, მეველეს, მტერს, მოყვარეს, ღხინს, მარილს და სხვ!.. ეს თქვენ იანგარიშეთ—მე-კი ლექსს გეტყვით, რადგან მიგიყვანეთ ამ შავბედ ლექსის მოგონების მიზეზამდე ჩვენ ხალხურ გენიის მიერ:

„საწყალსა კაცსა ვინ მისცემს
აღებლამესა ღვინოსა,
მჭადი ჭამოს და წყალი სოს,
დაწვეს და დაიძინოსა“!

## III

ცხოვლად ნუ ჩაავდებთ გალოს—იმას კარგა ესმოდა თავისი უიმედო მომავალი. რო ეს დარდი გაიქარვოს ნარჩომ ღვინოთი ერთი შაქეიფიანდა, მერე ქუდში ჩაიდო მისაცემი საკომლო და წუხარის ფეხის რევით გამოვიდა ქოხიდან სასოფლოზე. ამ დროს „ბოჩიკს“ და მამასახლისს ჩაფრები მოუმდოდნენ სასტიკად დარჩენილ ფულს ასაკრებათ.

— „აი ამას არ მოუციაო“ მიათითა „ბოჩიკმა“ გალოზე. გალომ ქუდი მოისადა უნდა ამეღო ფული და თან რაღაც ამოიღუღლუღა მაგრამ მჭახედ ამომახებულ ჩაფრის ლანძღვამ და მისმავე მათრახის გადაკვრამ ის მირს ლაფში წააქცია... მიიღო წაქცეულმა რამდენიმე წიხლიც და იხსნა კიდე მომეტებულისაგან ქუდიდან ფულის ამოღებამ და დანახვებამ—აქ ჩაფრებმა მხეცურად გადიხარხარეს; ცრემლებ მორეული და მოლაფული გალო აყენეს—ფულში კვიტანცია მისცეს და ერთი ქათამიც მოუკლეს საისასულო. იმ ღამეს იფუფქებოდა უსამართლოდ დასჯილი გალოს გული. მეორე დღეს სასოფლოზე რო გამოვიდა, ხალხმა იმის დანახვაზე ჩაფრების უსამართლობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი... აქ ყველას მოაგონდათ შიშიანობაში მათ სოფლიდან აღავერდს წაღებული ქვირფასი ხატი—ამტკიცებდნენ ყველანი რო, როცა ის ხატი ჩვენში იყო ჩაფარს არ შეეძლო ჩვენ სოფელში შამოსვლა, არამც თუ ვისიმე ცემაო. ნატრობდნენ იმის გადმოტანას, მაგრამ ძნელობდნენ, რადგან იქ დაბმული ჭყავთო და მთავრობა არ დაგვანებებსო.

— ოღონდ ფულით იყოს თორემ გავიყიდნეთ და ის კი აქ მოვაბძანოთ! ამოთქვა ერთმა.

გალო ამ ლაპარაკს სულ გამეღილი უგდებდა ყურს. მართლა და ჩაფრების მოშორებას ხატის ძალის მეტს ვერვის ანდობდა მისი საცოდავი გონება და ამ ბოლო სიტყვებზე მეტის ძალით და სიმტკიცით წამოიძახა:

— ოღონდ, შვილო, ის აქ მოაბძანოთ და ჩემ წილობაზე ორ თუმანს ჩავმოვალ! ამაზე მტკიცედ თავის სიცოცხ-

...ილის ქალალდი, რომლითაც ის ...თხოვდა საზოგადოებებს, რომ ის ...ერთ-ერთს ღარიბ მასწავლეთაგანს, ...ემ იგი სწავლას შეასრულებდეს, ...ცემს დაწესებულ სწავლისთვინ გარ... ...ასახადს, რვა მანეთს წელიწადში; ...კომიტეტმა მადლობა გარდუხადა და შერიცხა იგი საზოგადოების ნამდვილ წევრად.

ჩვენში, საზოგადოდ, ყველა საზო...ადო საქმე ღოღვით, ზუზვით მიდის; ეს არა იმიტომ, რომ იმისთანა საქმეს სარგებლობის მოტანა არ შეეძლოს— ეს რა სათქმელია,—არამედ ჩვენი ...ეირობისა და დაუდევრობის გამო. ...ვიწყობთ საქმეს და ბოლოს კი ვერ ...მივადევნებთ; თითქო ყველა მოწადინებულია, ყველა სურვილებით სავსეა, მაგრამ რაღაც უშლის, ეს რაღაც ჩაგვ...ევებია ამ ქართველებს და არ იქნა ვერ გამოვაგდეთ, თუმცა კი ასკინკილაა შეყენებული.

დიახ, აი ეხლა ეს საზოგადოება ...ორმან იყო შემდგარი, როგორც ...ვთქვით ზემოდ, სამოც-და-ორი წევრისგან, საწევრო ფული, წესდების ძალით, დადებულია 50 კ. წარმოიდგინეთ ამ ათი შაურის შემტანი სულ ოცდა სამი კაცია!.. ამ საქალაქო სასწავლებელში სწავლობენ ყველა ხალხის და ყველა სარწმუნოების მოსწავლენი; ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეს ...ომხის სკოლა, ან რუსისა, ან ქართველისა. აქ ყველანი არიან; ყველა ხალხის და რჯულის მოსწავლეებში ...ოვებიან ღარიბნი; მაშ, რადგან საყველთაო სასწავლებელი ყოფილა, ფოთის საზოგადოება, მცხოვრებნი, ფოთის მაზრის თავად-აზნაურობა, რომლის შვილებიც სწავლობენ, ზნეობითაც მოვალენი არიან, რომ სასწავლებლის ღარიბ შეგირდებს შემწეობა აღმოუჩინონ; ერთხელ ცირკში ნუ წავალთ და პრანჭვა-გრეხას ნუ უყურებთ, ერთხელ ფოკუსნიკის წარმოდგენაზე ნუ წავალთ (რომლებიც ხანდაზმით ფოთშიაც შემოგვივლიან ხოლმე) და ის „ერთხელის" ფული ამ საზოგადოებას შევწიროთ.

იმედია, რომ ფოთი, როგორც სხვა საზოგადო საქმეში, ისრე აქაც, თავს იჩენს და შეეწევა ამ ქველ საქმეს.

სხვაც ბევრი რამ მქონდა საკორრესპონდენციო, მაგრამ არ მინდა ამ ამბავთან უსიამოვნო საგნებზე გელაპარაკოთ.

*N.*

**ფოთი, 1 ნოემბერს.** ამ ჩვენ დასავლეთისკენ სწორედ კარგი ამინდები იყო აქამდინ; მშვენიერად მოკაშკაშებული ცა შავ ზღვას დასცქეროდა და შავი ზღვა ცას ისე შეხუოდა, რომ მნახველი იფიქრებდა ერთმანეთს შეჰყვარიანო. მაგრამ ახლა კი მოატანა ზამთრის შუქმა: მოწმენდილი ცა შავის ღრუბლებით იმოსება და კიდევაც აცივდა.

არც ხალხია დალონებული. ან რად დალონდება? ჰაი გაშლილი ქალაქი, შიგ სწორი ქუჩები, რომლებზედაც ავდრის დროს მარტო ტალახი კი არ დადგება, წყალიც ბლომად გაუწმენდელ თხრილებიდგან გადმოდის და ჩვენ ქალაქს ვენეციას დაამსგავსებს ხოლმე. კლუბიც კარგი გვაქვს, სიდაც ტანცი-მანცი და ქალალდის თამაში მუდამ გაჩაღებულია. პოლიციის და სხვა გვარი ჩინოვნიკებიც არ გვაკლია. ქალაქის თავიც ავირჩიეთ! ერთის სიტყვით არაფერი არ გვაკლია.

მართალია, ზოგიერთი ვაჭრები შეგვიშინა ბათუმის რკინის გზამ, მაგრამ უმეტესი ნაწილი მარჯვედ არის, ამიტომ რომ თუ ვისმეს ფულები შამოაკლდა, რომ მოგეხსენებათ მეგრელების სიყოჩალის ანბავი, ან გაგლეჯენ ვისმეს და ან სახლს გასტეხენ და ხანდიხან ღვთის სახლსაც არ მოაკლებენ თავიანთ მოხელობას. კაცი რომ მოჰკლას აშკარად ვინმე, მაინც რა უშავს? ხმას არავინ გასცემს.

ამ 30 ოკტომბერს ეკკლესია გაგვიტეხეს, საიდგანაც გაიტანეს ბარძიმი და ფეშხუმი, ორი ვეცხლის ფადროსი და ოც-და-ათ მანეთამდი ფული. მეორე დღეს, როგორც ამბობენ, პოლიციის პრისტავები მღვდლის მოწვევაზე ზოგი ავადმყოფობას იგონებდაო და ზოგი მოუცლელობას.

საკვირველია, შუა ქალაქში ეკკლესიას სტეხენ და კაცი ვერაფერს ტყობულობს, ქალაქის ნაპირს რა იქნება? პოლიციის სალდათები ბლომად არიან, მაგრამ რას აკეთებენ?— დუქნებში ქეიფობენ ათ საათამდინ და მერმეთ შინ მიბრძანდებიან. ისინი მარტო ლორებს უყურებენ, იქნება ან ქუჩაზედ გაიაროსო და ან ბულვარის ახლოსო და თუ მართლა შეამჩნიეს, მაშინვე იშიშვლებენ ხმალს, და რევოლვერს და გაჩნდება ლორზე ქუჩაში ნადირობა და თუ ინადირეს ნანადირევი მათ დარჩებათ მათი უფროსების განკარგულებით.

მოდი და მოგეწყინოს ამისთანა ქალაქში! თუ ასე წევიდა აწიც ჩვენი საქმე, ბათუმი კი არა, ტფილისიც ვერ შეგვაშინებს...

ამ ორი კვირის წინად აქ ჩამოვიდნენ გარდასახლებული ლეჩხუმლები და რაჭველები, რომლებზედაც ჩვენებურს გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინად. მართალია, გაბედულად მიდიოდნენ, მაგრამ „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბალდათიც იქ არისო"— ნათქვამია, ამათაც თავის ქვეყნის მოშორება ძლიერ უმძიმდათ, როგორც ეტყობოდათ. ფოთში თითქმის ორი კვირა დარჩენ და მომეტებული ნაწილი პატარა ყმაწვილებიც ციებით ავად დახდნენ. ყველანი თავის ბატონს და მოროვოი პოსრედნიკებს ემდუროდნენ, რადგანაც მეორენი პირველებს უდგიან და გლეხების ნაყიდობასაც ყურადღებას არ აქცევენ.

ფუქსაძე.

# რუსეთი

1863 წელს დადგენილი წესები უნივერსიტეტისა ამ ჟამად ხელ ახლად გადაიხედა, შეიცვალა და მზად არის სახელმწიფო რჩევაში წარსადგენად; მაგრამ, რადგან ამ შეცვლილ წესებმა გამოიწვიეს ახალი ხარჯები ხაზინისა, ამის გამო ხანამ ეს წესები გარდაწყვეტილად

---

...ღეში იმას სიტყვა არ ეთქო... ამის შემდეგ ყუყუტივით გახევებული გალო მიეცა ოცნებას და დიდხანს იდგა თვალებ დაჭყეტილი სასოფლოზე.—გარეშეს გეონებოდათ, ის ხალხის ლაპარაკს ყურს უგდებსო, მაგრამ მოსტყუვდებოდით... ამ დროს გამოიარა მისმა მოკეთე გლეხმა, მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— აქ რას უდგეხარ, გალო, წამოვ ღვინის გადაღება მაქვს, მიშველე!.. გალოც გაჰყვა.

მარანი სოფლის განაპირებას იყო. საღამომდის გალოც და ისიც ქვევრების რეცხას და ღვინის გადაღებ-გადმოღებას მოუნდნენ. რო შეღამდა, მორჩნენ... დაანთეს შუა მარანში ცეცხლი და მოუსხდნენ მას ხელადით. გალურტულ ტანისამოსიდან ოშხივარი ასდიოდათ ორთავეს. ხელადიდან ღვინო საკმაოდ გადასდიოდათ ხახაში და უჯდებოდათ დაღალულ ჯანში. გალოს თვალებზე ჯანღი გადაეკრა, ლოყები შაუყინყლილდა და გააბა გრძნობით ლაპარაკი მის გონებიდან განუშორებელ ხატზე „კავთაზე".

— ჰეი, ჩვენ ვიღა შაგვეძლებოდა, ამობდა გრძნობაში მოსული მოპირდაპირეც.

IV

კარგა ღამეა გასული. გალო მეტის ბარბაცით მიშლაპუნებს კაკლებ ქვეშ სოფლის განაპირებას ორღობეში. ზემოდან ურტყამს უწყალოდ შემაწუხებელი შემოდგომის წვიმა. ათასში ერთხელ ცივი ქარიც აავნესაბს ხოლმე ნახევარზე გატიტვლებულ კაკლებს... გალოს ფიქრი კავთასთან არის წასული. ზოგჯერ მკაფიოდ ამოიძახებს:

— გენაცვალე იმის მადლსაო და გადიწერს პირჯვარს. უცებ შასდგა. გარინდდა დიდხანს. მერე დატორტმანდა და პირჯვარიც გადიწერა, მაგრამ სულ სხვა ამოილუღლუღა:—დაჰწყევლოს სამ...სამ... წმიდა ისომ... ო! აქ კიდე შადგა და შაგად გამომზერ კაკლის ძირს სალოკი თითი დაუქნია რიღაცის ბუტბუტით... მოაგონდა, მგონი, ხალხის თქმა, რომ ამ ალაგს ავი სული იცისო... მაგრამ გადაადგა კიდევ რამდენიმე ბიჯი მამაცად და შამოესმა ლაპარაკი:

— გალო, რა ხელუურელი რამა ხარ? ვერა ჰხედამ ამინდს, ღამის პური კალოში გაგვიოხრდეს, მოდი ერთი ხელი წამოგვაშველე..

გალო მიბრუნდა მართლა იქვე მეოთ კალოზედ—და ეხლა ლაფით სამზეზე—დაიწყო საბრალომ ბუღრაობა, ეგონა მართლა ნიაობასა ვშველიო... მამლებმა იყივლეს, რომ ის ჯანიდან განდეგილი და საშინლად გალაფული, ლაფს ისროდა ზევით. გათენებისას მიჰხვდა თავის სიგიჟეს: ერთი მაჰღრიალა და გამოქანდა შინისკენ. რამდენიმე დღე ენა ჩავარდნილი იდო ლოგინში და თვალებს აბრიალებდა, ხელებს აწყვეტდა. იმ სოფლის მღვდელი ყოველ დღე მიდიოდა და სახარებას კითხულობდა თავზედ, რადგან, როგორც მონასტერში გაზრდილს, ავ-სულ დაკრული ეგონა.

ერთი კვირის უკან ენა ამოიდგა და ქადაგებდა, მოგროვებულ ხალხს ემუქრებოდა იმ სხვაგან მეოთ ხატის სახელით, რომ თუ არ მამაყვანთ ჩავრებს უარეს დღეს დავაყენებინებო... ჯერ კი ჰკვეროდათ სოფლელებს—მერე კი შეეჩვივნენ და ყურსაც აღარ იბერტყდნენ...

V

დადგა ზამთარი. გალო ისევ შამშიშად იყო მის ცოლის და შვილის გულსაკლავად, რომელნიც ეყარნენ ცარიელ პურის და ღვთის ამარას. პატარა პარკუშანით შვილი ლიტრობით ჰფქვავდა ფქვილს და კუდა ვირით ჰზიდავდა ფიჩხს, თუ შეშას. მოატანა მარტმაც. გაზაფხულის სითბო დატრიალდა ჰაერში. გლეხებმა ქოხები დაალეს და ვენახებს დაერივნენ შესამუშავებლად. გალოს კი ზავრანას ფერი ჰქონდა, როგორც შამშიში ხან საყიდელს ატანდა ხელს, ხან თამაშობდა, ხან ჰზოდავდა.

ერთ ობილ დილას გალო კარში გამოვიდა მიიხედ-მოიხედა, იდგა დიდ-ხანს დაფიქრებული, შემდეგ მოტრიალდა, შავიდა ქოხში, იქ ერთ გიდელაში ბლომად ჰქონდა ნაწერი ბარათები, დახვეტა ის და ჩავიდა ჰკვიანურად თავიანთ სოფლის მასწავლებელთან, რომელთანაც ყველას მიჰქონდა ქაღალდი წასაკითხად.

დინჯად იდგა გალო მასწავლებლის ოთახში და ისმენდა ამოკითხულ კვიტანციის ბარბოს:—„მივიღე გალოსაგან ერთი თუმანი საკომლო"—კითხულობდა მასწავლებელი, „ყარაულისა შვიდი აბაზიო, საკომლო კიდე თერთმეტი მანეთი, სამწერლო ორი აბაზი, მაღაზიისა მანეთი, საკომლო, ყარაულისა,—ისმოდა განუწყვეტლივ... გალო მალე ჩავარდა უწინდებურ ცხოვრების კალაპოტში და როცა მასწავლებელმა უთხრა, რომ ამდენ მიცემულ ფულით ის გაიჩენდა ხარ-გამბეჩს, ვენახებს და სხვას—იმან მარტო შაჰძახა:—მართლა!?

აქ შემოვიდა სოფლის მამასახლისი და მიაწოდა მასწავლებელს ამოსაკითხად ქაღალდი, თუ რამდენი კაცი უნდა გეეგზავნა ბეგარაზედ—თან კი გაკვირვებით ათვალიერებდა გალოს. როცა წაკითხული მოისმინა, მამასახლისმა გალოს მიაძახა:

— აქ რა გინდა გალო, მორჩი?! გაგაბა ბეგარზე!

ამ დროს მოისმა გზირების ძახილიც: —გამოდით, გამო ბეგარზე ხააალხოო!!.

გალომ უნებურად შაიკალთავა ფარაჯის კალთა, ცქვიტად მიბრუნდა და გაიქცა შინ ბარ-ნიჩბის ჩამოსატანად.

მართლა, ცოტა-ხანს უკან გალო ბარნიჩბით მხარზე სასოფლოზე ჩამოწკრივებულ ხალხში იდგა და მამასახლისი სძვლიდა ყველას, იმასთან რო მივიდა მწარედ გეღიმა.

ამის შემდეგ გალო ჩავარდა ისევ ძველებურ ცხოვრების კალაპოტში და მის გონებაში უწინდებურად დროზე და რიგზე ხარჯის გადახდამ დაიბუდა.

შაქრო.

10 ლეინობისთვეს.

დადგინდებოდეს, მანამ საჭიროდ დანახულ იქმნა ამ საქმეზედ დაეკითხონ ფინანსთა მინისტრს, რომლისგანაც მოელიან ამ საქმის დაბოლოვებას.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების ქვემდებარე მოხელეთ აღურიცხავთ დრო გამოშვებით გამოცემაში მონაწილეობის მიღება. ამავე ზომის მიღებას სხვა უწყებათა მოხელეებზედაც განიხილავს მოკლეს ხანში მინისტრთა კამიტეტი.

—

ერთ ინგლისურ გაზეთში იწერებიან ახალ-თექეს ქ. ასხაბადიდან:

— აქ მოვიდა ახალ-თეკის ხანი ნურვერდი-ხანის შვილი. ჩააბარა ხმალი რერბერგს, ახალ-თექის ოაზისის უფროსს და ფიცი მისცა ერთგულობისა. ეს ის ხანი არის, რომელიც ებრძოდა რუსებს გოქ-თაფის აღების დროს. მთელი ახალ-თეკის ხანი იყო და შემდეგ გაიქცა მერვში. იქ ამოარჩიეს ოცი-ათას მოსახლეთ ხანად. ესლა იქ მიანება თავი და გადმოსახლდა აქეთ. ამის გარდა მერვში, ან როგორც თექელები ამბობენ მარაში, ხანებ შუა უთანხმოება არისო. იქ ჩივის ხანს ხანად გამოუგზავნია ვიღაც და არ ნდობულობენ, ზოგიერთ ადგილობრივ ხანებს სწყინსთ იმის მოსვლა. აქვე მოვიდა იქაური დიდი ხანი მაილი ყული-ხანი და ჩივის იმ ჩივიდგან გამოგზავნილ ხანზე:— ის არ უნდა ხალხსაო და გთხოვთო თქვენ, რუსებმა დაგვინიშნეთ ხანიო. დღეს გაემგზავრა ინჟინერი ლესარი (ჩერნოგორელი არის—ამის წერილები იყო რუსის გაზ. „Голосъ“-ში ამ მხარეზე) ლენ. რერბერგის მინდობით, წაიყვანა ბევრი ჯიგიტები და 16 ყაზახი რუსი შეიტყოს, ვინ ჭეშმარიტ ხანად და რად არის არეულობა. ცდილობენ ისეთი ხანი დააყენონ, რომელიც ხალხსაც მოსწონდესთ და რუსის მხარესაც დაიჭეროს.

---

# განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის

## გამგეობისაგან

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ცამეტს ნოემბერს 1882 დანიშნულია ვაჭრობა ქუთაისის ბულვარში მადნეულების წყლისთვის სავაჭროთ გაკეთებულის კიოსკისა იჯარით გაცემაზე.

ვაჭრობა დაიწყება 12-ს საათზე და გათავდება 2-ს საათზე.

დაწვრილებითი პირობების მეტყობა შეიძლება უპრავაში ყოველ დღე უქმის გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 2-ს საათამდე. (3—2)

---

არწრუნის თეატრი.

დღეს, 7 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

## კინტო

კომედ. 3 მოქ. თ. აკაკი წერეთლისა.

კინტოს როლს აასრულებს ქალბ. ანდრონიკოვისა.

II

ოინბაზი

ვოდევილი 1 მოქმ. ა. ცაგარელისა.

დასაწყისი 8 საათზედ.

---

ტფილისის ქალაქის

## გამგეობისაგან

ტფილისის სამოქალაქო უპრავა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ნოემბრისთვის 12-ს, მოხდება ტორგი საქალაქო საწვრებიდგან და საწყობიდგან შემოსავლის იჯარით მიცემაზედ. პირობანი მსურველთ შეუძლიანთ იხილონ ყოველდღევე, დილის 10 საათიდგან 2 საათ. ნაშუადღევს. ტფილისის სამოქალაქო უპრავის კანცელერიაში (3—1)

---

ვეძებ ღირსეულ მადნეულობის საქმეს

უ-შუა კაცოდ. მსურველთ ადრესი შეუძლიანთ დასტოვონ საქმის დასახელებით—ფონ შიხმანის ბიბლიოტეკაში, გოლოვინის პროს. სახლი თ. მუხრანსკისა. (3—1)

---

20 ნოემბრისთვეს, შაბათს,

დანიშნულია

## კრება,

რომელზედაც უნდა შემუშავდეს და გამოიკვლიოს ქართული ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. მსურველთ ამ კრებაზე დასწრებისა სთხოვენ დანიშნულ დღისათვის შეჰკრიბონ, როგორც მზა ქართული ტერმინები, აგრეთვე გამოსაკვლევი—ახლები, რომელნიც გარჩეულ იქმნებიან კრებაზე.

უპოვრ ჩილდებად სთხოვენ აგრეთვე ქალაქს გარეშე მცხოვრებთა, რომელთაც კი შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება—თავის ცნობები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, городское Ремесленное Училище, преподавателю А. Гуладзе, ანუ І. Мревлишвили.

ადგილი თავის დროზე იქნება გამოცხადებული. (10—6)

---

სამსტატო ინსტიტუტში კურს დასრულებულს ჭკუის ამლიოს

გაკვეთილები

პირობების შეტყობა შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (10—9)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესას ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

ახალი ქართული

## კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

საწერი

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდისა მოთხრუდ თაბახზედ, შიგ(ცავს) ხუთი საჭიროება მაგალითს: 1) ანბანის დედანს მსხვილის ხელით; 2, მაგალითი მსხვილის ხელით წიგნიდამ გადმოწერისას; 3) ანბანის დედანს წვრილის ხელით; 4) დედანს (იგივე მაგალითი) გაბმული ხელით გადმოწერისათვის; 5) უმთავრესს საწერო მაგალითის სხვადასხვა მანერითან გადაბმისას.

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

---

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ადაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

---

ინგლისის მაღაზიაში

## თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და აღარინდევ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—9)

აქვე ისყიდება ქინის პომადა იმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. მასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Ноября 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი